**ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი**

**N 1**

2024 წლის 10 აპრილი

დასაწყისი: 11სთ. 00წთ. დასასრული 14 სთ. 00წთ.

სხდომას ესწრებოდნენ: ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. **ვასილ მინაძე**
2. **ნუგზარ ბოჩიკაშვილი**
3. **ლია კაპანაძე**
4. **პავლე ბათმანაშვილი**
5. **ზურაბ ფეიქრიშვილი**

სხდომას არ ესწრებოდნენ: ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის საათათბირო ოპრგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები: გელა ენდელაძე, ნონა გუბელაძე, ვიქტორ მინაძე,ზურაბ ზედგენიძე, ნიკა ლობჯანიძე და სერგო ბერიძე.

სხდომას ესწრებოდა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქიმაძე , ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში გიორგი ჩიხრაძე.

**დღის წესრიგი:**

1. დაბა ადიგენში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაციის საკითხები: (ბალახაშვილის, ერისთავის, ჭავჭავაძის, ზაზაშვილის, გიგოლაშვილის და წერეთლის ქუჩები) ( I ეტაპი) მრავალწლიანი მთლნ.სახელშეკრულებო ღირებულება 1 274 000 ლარი პროექტის თანახმად, უნდა მოასფალტდეს ეზოები ასფალტით, რომლის კვადრატულობა შეადგენდა 2023 წელში 4665 კვ/მ, ხოლო 2024 წელში შეადგენს13118 კვ/მ.

2. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლების სამყური-ღორძის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი). პროექტის თანახმად, უნდა მოეწყოს 1193 გ/მ ასფალტო ბეტონის გზა.

3. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლების წახანი-ქიქინეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი). პროექტის თანახმად, უნდა მოეწყოს 1440 გ/მ ასფალტო ბეტონის გზა.

4. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლების ფლატე-არზნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი).პროექტის თანახმად, უნდა მოეწყოს 1654 გ/მ ასფალტო ბეტონის გზა.

5. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში მისასვლელი გზის და მდინარე ქვაბლიანზე არსებული ხიდის რეაბილიტაციის (I - II ეტაპი) სამუშაოების მრავალწლიანი ელექტრონული ტენდერის მთლნ სახელშეკრულებო 1 560 000 ლარი. პროექტის თანახმად, უნდა მოეწყოს 2283 გ/მ ასფალტის გზა.

6. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხოვნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (I-II ეტაპი). პროექტის თანახმად, უნდა მოეწყოს 2750 გ/მ ასფალტო ბეტონის გზა.

7. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (ჯანგიზას უბანი).პროექტის თანახმად, უნდა მოეწყოს 1640 გ/მ ასფალტო ბეტონის გზა.

8. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარაში ხევის მარცხენამხარეს სტიქიის შედეგად დაზიანებული გაბიონებისრეაბილიტაციისა და სოფელ უდეში სტიქიის შედეგადდაზიანებული ბეტონის გზის გვერდულისა და სანიაღვრე არხის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები.

9. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უნწაში მდინარე ოცხეზე არსებული ხიდის მიმდებარედ სტიქიის შედეგად დანგრეული გაბიონების ნაცვლად რკ/ბეტონის ნაპირსამაგრი კედლისა და სოფელ ვარხანში რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.

10. სოფელ ბოლაჯურში ფოლკლორულ-ქორეოგრაფიული სტუდიის, სპორტული დარბაზისა და მერის წარმომადგენლის ოთახის მშენებლობის სამუშაოები.

11. სოფელ არლის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (ე.წ.ახალი დასახლება) (II ეტაპი) სამუშაოები.პროექტის თანახმად, უნდა მოეწყოს 642 გ/მ ასფალტო ბეტონის გზა.

12. დაბა ადიგენში ვაჟა ფშაველას N5-ში არსებულიშენობის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარხანში

13 დასრულდა (საბზარას უბანი) ფანჩატურის (საჩრდილობელი) მოწყობის სამუშაოები.

14. სოფელ შოლავერში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია პროექტის თანახმად, უნდა მოეწყოს 672 გ/მ ასფალტო ბეტონის გზა.

15. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის N2 ადმინისტრაციულ შენობაში დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები დემონტაჟი გაუკეთდება ძველი ხის კარებებს და ჩაყენდება მეტალოპლასტმასის კარებები, შეიღებება ოთახები, მოეწყობა ორი კონდიციონერი (ზამთარ-ზაფხული), იატაკებზე მოეწყობა ლამინატი, ელექტროგაყვანილობა.

16. დაბა ადიგენში ჭავჭავაძის ქუჩაზე დასასვენებელი სკვერის მოწყობის სამუშაოები. მოეწყობა სკვერი , სკვერში განთავსდება ტრენაჟორები, ატრაქციონები და ფანჩატური.

17. დაბა ადიგენში თამარ მეფის ქუჩაზე საგამოფენო სივრცისა და ტურისტული ცენტრის მოწყობის სამუშაოები.

18. დაბა ადიგენში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობა. მოეწყობა ჭები და მოეწყობა საკანალიზაციო მილები.

19. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის წყალსატუმბის მაღალი ძაბვის ქსელის მოწყობის სამუშაოები.

20. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არალში და ბოლაჯურში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები. პროექტის თანახმად არალში უნდა მოეწყოს 800 გ/მ ასფალტო ბეტონის გზა, ბოლაჯურში 664 გ/მ ასფალტო ბეტონის გზა.

21. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარხანში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო სხვადასხვა დიამეტრის პოლიეთილენის მილების და ფასონური ნაწილების შესყიდვა ტრანსპორტირების გათვალისწინებით.

22. დაბა ადიგენში მდინარე ქვაბლიანზე საფეხმავლო დაკიდული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

23. დაბა ადიგენში, სოფელ უდეში და ბოლაჯურში ლითონის ცხაურის მოწყობის სამუშაოები.

24. სოფელ არლის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის (ე.წ. ახალი დასახლება) (I ეტაპი) სამუშაოები. პროექტის თანახმად, უნდა მოეწყოს 560 გ/მ ასფალტო ბეტონის გზა.

25. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში კულტურის სახლში საცეკვაო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. იატაკის სრული რეაბილიტაცია, შეიცვლება-კარ ფანჯრები, და გაკეთდება გამოსაცვლელი ოთახები.

26. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არალის კულტურის სახლში განთავსებული სოფელ არლის ადმინისტრაციის ოფისის რეაბილიტაციის სამუშაოები. უნდა მოხდეს კედლების, ჭერის, კარ-ფანჯრების შეცვლა/რეაბილიტაცია და ჩატარდეს ახალი ელექტრო გაყვანილების მონტაჟი.

27. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქურდევში სასაფლაოსთან მისასვლელი გზისა და სოფელ ნამინაურში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.უნდა მოეწყოს ნაქურდევში 129 გრ/მ ბეტონის გზა; ნამინაურში 67 გრ/მ ბეტონის გზა;

28. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ სმადაში და ქვემო ენთელში გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

29. ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ სმადაში სკვერის მოწყობის სამუშაოები.მოეწყობა სკვერი და გასართობი ატრაქციონები და ტრენაჟორები.

30. დაბა ადიგენში ა(ა)იპ ადიგენის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის, ა (ა) .ი.პ. ადიგენის წყალმომარაგების სამსახურის და დაბა ადიგენის საბავშვო ბაღის შენობის ცენტრალური გათბობის (ქვაბის) სისტემის სამონტაჟო სამუშაოები.

31. დაბა ადიგენში ყოფილი საგზაო სამართველოს ადმინისტრაციული შენობის სადემონტაჟო სამუშაოები.

32.დაბა ადიგენში თორნიკე ერისთავის ქუჩა N20-შიმდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებულ შენობაში გათბობის სისტემის მოწყობის სამუშოები.

33.დასრულდა დაბა ადიგენში თორნიკე ერისთავის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა. მოეწყო 133 გ/რ მეტრზე ახალი სანიაღვრე არხები.

34. სოფელ ბოლაჯურში არსებულ სანიაღვრე არხზე ცხაურის მოწყობის სამუშაოები.

35.დასრულდა დაბა ადიგენში ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის ოთახების სარემონტო სამუშაოები.

ახალგაზრდების ხელშეწყობისათვის:

1.მერიის დაფინანსებით გაიხსნა სამხატვრო წრე 140 მოსწავლე ახალგაზრდაზე.

2.მერიამ 2023 წლიდან ახალგაზრდების წახალისების მიზნით შემოიღო მერის სტიპენდია 500 ლარის ოდენობით. ამ ეტაპზე აღნიშნული სტიპენდია მიღებული აქვს ადიგენის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ 22 ახალგაზრდას.

3.2023 წლიდან შემოღებულია ოქროსა და ვერცხლის მედალოსნების წამახალისებელი ფულადი ჯილდო, რომელიც შეადგენს ოქროს მედალოსანისათვის 300 ლარს, ხოლო ვერცხლის მედალოსანისათვის 150 ლარს.

4.2024 წლის ივნისიდან მერიის დაფინანსებით იწყება ახალი პროგრამა,ტური სტუდენტებისათვის ,,შემოიარე ადიგენი".

5.მერიის ბიუჯეტიდან ფინანსდება უფასო სწავლებები: სამხატრო წრე,სამუსიკო სკოლა და ქორეოგრაფია.

6.შემოღებულია სწავლის გადასახადი სამშენებლო და არქიტექტურის სტუდენტების დასაფინანსებლად 4000 ლარის ოდენობით.

იმსჯელეს

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა განიხილეს და თავიანთი აზრი გამოთქვეს ადიგენის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტებთან დაკავშირებით. ასევე განიხილეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2024 წელს განსახორციელებელი პროექტები. მრჩეველთა საბჭოს წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს დაბა ადიგენში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

**საბჭოს გადაწყვეტილება:** დადებითად შეფასდა სხდომაზე განხილული ყველა საკითხი.

/ვასილ მინაძე/

/ნუგზარ ბოჩიკაშვილი/

/ლია კაპანაძე/

/პავლე ბათმანაშვილი/

/ზურაბ ფეიქრიშვილი /